



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კუპრეიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე

კუპრეიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე (დ. 14. I. 1954, ბათუმი), გენერალ-მაიორი (2000), საქართველო. სახელმწ. უშიშროების სამსახურის საპატიო თანამშრომელი (1996). დაამთავრა სპი-ის საინჟინრო ფაკ-ტი (1977), სახელმწ. უშიშროების უმაღლესი სასწავლებელი (მინსკი, 1981-82). 1971-78 იყო ქუთაისის მცირე გაბარიტების სატრანსპორტო ქ-ნის ინჟინერ-კონსტრუქტორი, 1978-81 - საქართველო. კვების მრეწველობის კვლევითი ინ-ტის თანამშრომელი. 1982-86 მუშაობდა ვოლგოგრადის ოლქის სახელმწ. უშიშროების კომიტეტში სხვადასხვა თანამდებობაზე, 1986- 2004 - აჭარის არ სახელმწ. უშიშროების კომიტეტში. 1994-2004 იყო აჭარის არ-ის სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

ლ. დოლიძე
